ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
სამომხმარებლო სესხი - ხელშეკრულება # SME-BT-2026

000 / საქართველო **0000**

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი	
კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი	**ფიქსირებული**
კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი	
კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	
კრედიტის ფინანსური ხარჯები	
ყოველთვიური შენატანი(ძირი თანხა+პროცენტი)	**თანდართული გრაფიკის შესაბამისად**
გაცემის საკომისიო	
სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია	
კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა	
მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა	
კრედიტის მოქმედების ვადა	
სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადა	

წინასწარ დაფარვის საკომისიო იანგარიშება კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხიდან, და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად და შეადგენს გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის:

2%-ს თუ დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა
1%-ს თუ დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა
0,5%-ს თუ დარჩენილია 6-12 თვემდე ვადა
0%-ს 6 თვემდე ვადის შემთხვევაში.

სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების შემთხვევაში - თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0,5%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი 6 თვეზე მეტი ვადა; 0%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა.

ვადაგადაცილების პირგასამტეხლო	**სესხის ნარჩენი ძირი თანხის 0.27% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ უნდა აჭარბებდეს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.**

მომხმარებელსუფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში ამავე ხელშეკრულების 72.1; 72.2; 72.3; 72.4; 72.5; 72.6; 72.7 პუნქტ(ებ)ით/ქვეპუნქტ(ებ)ით განსაზღვრული პირობების დაცვის გათვალისწინებით.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში,მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე ელექტრონული ფოსტით, მსესხებლის/თანამსესხ(ებ)ლის ელ. ფოსტაზე 00000, შეტყობინების გაგზავნით.

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით;

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – http://nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406

კრედიტის ხელშეკრულება #SME-BT-2026

(შემდგომში "ხელშეკრულება")

000 / საქართველო **000**

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები:

1.1. გამსესხებელი

საფირმო სახელწოდება:	**სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ"**
იურდიული მისამართი:	**საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, გამზირი აკაკი წერეთელი, #118, I პავილიონი**
საიდენტიფიკაციო ნომერი: **რეგ. თარიღი:**	**205274273** **05.03.2009**
ტელ. ნომერი	**0322 300 300**
ელ ფოსტა:	**info@scapp.ge**
საზედამხედველო ორგანო:	**საქართველოს ეროვნული ბანკი (მის: საქართველო, თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1) ;** **http://nbg.gov.ge;** **032 2 406 406**
წარმომადგენელი	**- მოქმედი მინდობილობის საფუძველზე**

1.2. მსესხებელი

სახელი და გვარი/საფირმო სახელწოდება:	
წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში):	
პირადი ნომერი/საიდენთიფიკაციო კოდი:	
დაბადების თარიღი/რეგისტრაციის თარიღი:	
მისამართი:	
ელ-ფოსტა:	
საკონტაქტო ტელ:	
ანგარიშის ნომერი:	

წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის წარმოდგენილი როგორც მსესხებელი, შემდგომში წოდებული როგორც "მსესხებელი"

წინამდებარე შეთანხმებით "გამსესხებელი" და "მსესხებელი" ერთობლივად მოიხსენიებიან როგორც "მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე როგორც "მხარე"

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი.

2.1. ერთის მხრივ გამსესხებელი და მეორეს მხრივ მსესხებელი ვაფუძნებთ რა საქმიან ურთიერთობას ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე, წინამდებარე სესხის ხელშეკრულების დადებით, გამსესხებელი იღებს ვალდებულებას გასცეს მსესხებელზე განსაზღვრული ოდენობის თანხა "სესხი" (შემდგომში "სესხი" ან "კრედიტი"), ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში დაფაროს სესხი, გადაიხადოს საპროცენტო სარგებელი და შეასრულს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2.2. სესხის ძირითადი პირობები

2.2.1 სესხის მთლიანი მოცულობა მოცულობა	
2.2.1.1. კრედიტის ტიპი	
2.2.2. ხელზე ასაღები თანხის ოდენობა (კრედიტის მთლიანი თანხიდან ფინანსური ხარჯების გამოკლებით)	
2.2.2.1. მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა	
2.2.3. კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი	
2.2.4. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	
2.2.4.1. საპროცენტო განაკვეთის ტიპი	**ფიქსირებული**
2.2.5 კრედიტის მოქმედების ვადა:	
2.2.5.1. სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადა	
2.2.6 პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე:	**სესხის ნარჩენი ძირი თანხის 0.27 (ნული მთელი ოცდაშვიდი) % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ უნდა აჭარბებდეს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.**

2.2.7 წინსწრებით დაფარვის საკომისიო:	**წინასწარ დაფარვის საკომისიო იანგარიშება კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხიდან, და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად და შეადგენს გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის:** **2%-ს თუ დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა** **1%-ს თუ დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა** **0,5%-ს თუ დარჩენილია 6-12 თვემდე ვადა** **0%-ს 6 თვემდე ვადის შემთხვევაში.** **სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების შემთხვევაში - თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0,5%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი 6 თვეზე მეტი ვადა; 0%-ს, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა.**
2.2.8 საკრედიტო რესურსის გაცემის საკომისიო	

2.2.9 სესხის გაცემისა და დაფარვის წესი	**2.2.9.1 სესხი გაიცემა ერთ ნაწილად.** **2.2.9.2 მსესხებელი ვალდებულია დაფაროს კრედიტის ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული სარგებელი თანდართული გრაფიკის შესაბამისად. ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის დაფარვის გრაფიკი წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.** **2.2.9.3. მსესხებლის მიერ გამსესხებლისათვის გადახდილი თანხით, მსესხებლის დავალიანება დაიფარება შემდეგი თანმიმდევრობით: პირველ რიგში ხარჯი, პირგასამტეხლო/ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული პროცენტი/სარგებელი, შემდეგ კრედიტის ძირითადი თანხა. ამასთან, გამსესხებელი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს ფულადი ვალდებულებების დაფარვის რიგითობა.** **2.2.9.4 მხარეები თანხმდებიან რომ მსესხებლის მიერ გამსესხებლის წინაშე არსებული ვალდებულების დაფარვისას პირველ რიგში დაიფარება მსესხებლის მიერ ნაკისრი არაუზრუნველყოფილი ვალდებულება (სესხი), ხოლო შემდეგ უზრუნველყოფილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).** **2.2.9.5 მხარეები თანხმდებიან, რომ გამსესხებელთან არსებული უზრუნველყოფილი სესხის წინსწრებით მთლიანად დაფარვის შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია სრულად დაფაროს წინამდებარე სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება. ამასთან მხარეები თანხმდებიან, წინსწრებისათვის საჭირო თანხის გამსესხებლის ანგარიშზე არასრულად შემოტანის შემთხვევაში, პირველ რიგში წინსწრებით დაიფარება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, ხოლო შემდეგ უზრუნველყოფილი სესხი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).** **2.2.9.6 იმ შემთხვევაში თუ მსესხებელს გამსესხებლის წინაშე ეკისრება რამდენიმე ვალდებულება ერთდროულად და მათგან ერთ-ერთი წარმოადგენს ვადაგადაცილებულ დავალიანებას, მსესხებლის მიერ ვალდებულებების დაფარვის რიგითობის აურჩევლობის შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებლის მიერ ვალდებულების დასაფარად შემოტანილი ნებისმიერი თანხა პირველ რიგში მიმართოს ვადაგადაცილებული დავალიანების დასაფარად, რაზეც მსესხებელი აცხადებს უპირობო თანხმობას. ამასთან, პარალელური ვალდებულებების ერთდროულად ვადაგადაცილების შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს თუ რომელი ვადაგადაცილებული ვალდებულების/სესხის დასაფარად მიმართოს მსესხებლის მიერ გადახდილი თანხები.**
2.2.10 მიზნობრიობა/არსებითი პირობა	
2.2.11. საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევა:	**მსესხებლის სიცოცხლე დაზღვეულია სადაზღვევო კომპანია ირაო-ში**

2.3. გამსესხებელს უფლება აქვს 2.2.10 პუნქტში მითითებული არსებითი პირობების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოითხოვოს გაცემული კრედიტის დაუყოვნებლივ დაბრუნებადარიცხულ სარგებელთან და სხვა გადასახდელებთან ერთად.

2.4. სესხის გადაცემა დასტურდება ჩეკით, რომელიც გადაეცმა მსესხებელს საბანკო დაწესებულებაში წარსადგენად თანხის განაღდების მიზნით, სალაროს გასავლის ორდერით, მსესხებლის საბანკო ანგარიშზე (მისი არსებობის შემთხვევაში მითითებული უნდა იქნეს 1.2. პუნქტში) თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტით, ან/და ნებისმიერი სხვა დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს აღნიშნულ ოპერაციას;

2.5. გამსესხებელი სესხს გასცემს მხოლოდ მას შემდეგ, რაც:

ა) მსესხებელი გამსესხებელს მიაწვდის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან მასთანდაკავშირებულ ყველა დოკუმენტსა და ინფორმაციას;

მუხლი 3. საპროცენტო სარგებელი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მისი დარიცხვის და შეცვლის წესი.

3.1. საპროცენტო სარგებელი იანგარიშება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 დღეზე გაანგარიშებით.

3.1.1. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა ფინანსური ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია გამსესხებლის მიერ და წარმოადგენს მსესხებლის მიერ სესხის მიღების, შენარჩუნების და/ან ამ სესხით სარგებლობის დასრულებისათვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს კერძოდ:

ა) საპროცენტო ხარჯი/შენატანები;

ბ) მომსახურებაზე გამსესხებლის მიერ დაწესებული გადასახდელები;

გ) გამსესხებლის მიერ დაწესებული ტრანზაქციისა და საკომისიო ხარჯი;

დ) აუცილებელი დაზღვევის ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) ქონების ღირებულების შეფასების ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) სანოტარო ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურებისათვის დაწესებული საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) გადასახდელი, რომელსაც მსესხებელი უხდის მესამე პირს სესხით სარგებლობის დასრულების დროს, თუ ეს წარმოადგენს მსესხებლის მიერ სესხით სარგებლობის დასრულების და ხელშეკრულებამდე არსებული უფლებების აღდგენისათვის აუცილებელ პირობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ი) სხვა მნიშვნელოვანი გადასახდელები, რომელთა შესახებ გამსესხებელმა შეიტყო სასესხო ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

3.2. სესხის საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება სესხის სრულად დაბრუნებამდე, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის გადახდის გრაფიკის ვადისა თუ გრაფიკის ვადის გასვლის მომენტისათვის მსესხებლის წინააღმდეგ დაწყებულია სამართლებრივი დავა. სხვა შემთხვევაში სესხზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გაგრძელდება სამართლებრივი დავის დაწყებამდე (მიუხედავად გრაფიკის ვადის ამოწურვისა) ან/და მანამ სანამ ვადაგადაცილებულ სესხზე მიმდინარე ვადაგაცილების სრულ აღმოფხვრამდე დარიცხული პროცენტისა და პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გაუტოლდება სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას, ამასთან ზემოთ აღნიშნული ორი შემთხვევიდან აქტიურდება ის დათქმა, რომელიც პირველი დადგება.

მუხლი 4. პირგასამტეხლო, მისი დარიცხვის და გადახდის წესი.

4.1. თუ მსესხებელი დააგვიანებს ან არ გადაიხდის სესხის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში სესხის ძირითად თანხას და/ან დარიცხულ პროცენტს, გამსესხებელი უფლებამოსილია დაარიცხოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებული არის გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული ოდენობით;

4.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით ნაკისრი და გადახდის გრაფიკით დადგენილი გადასახდელების გადახდის ვალდებულებისაგან

მუხლი 5. სესხის წინსწრებით დაფარვა

5.1. მსესხებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს სესხის ძირი თანხის ვადაზე ადრე დაბრუნება მთლიანად ან ნაწილობრივ;

მუხლი 6. მხარეთა განცხადებები და გარანტიები მსესხებლის განცხადებები, გარანტიები და ვალდებულებები

6.1. მსესხებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

6.1.1. გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების და განაცხადის ხელმოწერის, დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებაუნარიანობა და ამ მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა და ნებართვა.

6.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების დადების თარიღისათვის არ მონაწილეობენ არც ერთ სასამართლო პროცესში, მათ შორის, ადმინისტრაციულ, სისხლის, სამოქალაქო სამართალწარმოებაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით) , რითაც საფრთხე ექმნება მის ქონებას და/ან მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და/ან მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების პირობების შესრულებას.

6.1.3. წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღისათვის მის მიერ გამსესხებლისათვის წარდგენილი ინფორმაცია არსებული ვალდებულებების შესახებ არის უტყუარი და ზუსტი.

6.1.4. წინამდებარე ხელშეკრულების დადება და მისი შესრულება არ გამოიწვევს მის მიერ გამსესხებელთან ადრე დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევას.

6.1.5. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით, გამსესხებლის ან სხვა მესამე მხარეთა მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის და/ან რაიმე სხვა გარემოების, ან ზემოქმედების გამოყენების გაეშე.

6.1.6. მისთვის ცნობილია, რომ გამსესხებლისათვის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობების მიწოდება სესხის მიღების, ან მისი ოდენობის გაზრდის, და/ან სესხზე შეღავათიანი პირობების მიღების მიზნით, წარმოადგენს საკმარის საფუძველს წინამდებარე ხელშეკრულების ან მისი ნებისმიერი ნაწილის დასარღვევად, შესაწყვეტად, მოსაშლელად, შესაჩერებლად და/ან გასაუქმებლად და იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად დასჯად ქმედებას.

6.2. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ გამსესხებელი წინამდებარე ხელშეკრულებას დებს ზემოთ მოცემულ განცხადებებსა, გარანტიებსა და ვალდებულებებზე დაყრდნობით და თვლის მათ ხელშეკრულების პირობებად. შესაბამისად, ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული განცხადებების, გარანტიებისა და ვალდებულებების დარღვევა საკმარისი საფუძველია გამსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ან ნებისმიერი მომსახურების გაწევაზე ცალმხრივი უარის სათქმელად. ასეთ შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებული არის გამსესხებლის მიერ მითითებულ ვადაში დააბრუნოს ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული ნებისმიერი თანხა მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის და გამსესხებლის მიერ დაკისრების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს თანხების ჩათვლით.

6.3. გამსესხებელი, ხელშეკრულების დადების მომენტისათვის აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

6.3.1. გააჩნია სრული უფლებამოსილება და შესაძლებლობა, დადოს ხელშეკრულება და შეასრულოს მისგან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები;

6.3.2. არ არსებობს უფლებამოსილება, თანხმობა, მითითება ან შეტყობინება ნებისმიერი მესამე პირისგან, რომელიც აუცილებელია გამსესხებელის მიერ ხელშეკრულების დადებისა და მისგან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისათვის;

მუხლი 7. ხელშეკრულების პირობების დარღვევა.

7.1. ხელშეკრულების პირობები მსესხებლის მიერ დარღვეულად ჩაითვლება:

7.1.2. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 2.2.10 პუნქტში მითითებული არსებითი პირობ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში.

7.1.3. მსესხებელი ვერ გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი დაფარვის გრაფიკით დადგენილ კრედიტის ძირითადი თანხის ნებისმიერ ნაწილს ან მასზე დარიცხულ პროცენტს, ან პირგასამტეხლოს და თუ ასეთი გადაუხდელობა გაგრძელდება 30 კალენდარულ დღეს ან/და ასეთი დარღვევა განმეორდება ზედიზედ ორჯერ.

7.1.4. მსესხებელი ვერ შეასრულებს ან ვერ დაიცავს ამ ხელშეკრულებით დადგენილ ნებისმიერ ვალდებულებას ან მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არსებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, თუ ასეთი შეუსრულებლობა გაგრძელდება 30 კალენდარულ დღეს;

7.1.5. გამსესხებელი დაადგენს, რომ მსესხებელის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მსესხებელის საქმიანობას და ეჭვქვეშ აყენებს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით და/ან სხვა დაკავშირებული ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

7.1.6. გამსესხებელი დაადგენს, რომ საბაზრო პირობები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მსესხებელის გადახდისუნარიანობას;

7.1.7. ნებისმიერი განცხადება ან გარანტია, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებასთან აღმოჩნდება არასწორი;

7.1.8. მსესხებლის მოქმედება მიმართულია გამსესხებლის მოტყუებისაკენ, ან აყენებს მას ზიანს;

7.1.9. მსესხებლის ან მისი თავდების მიმართ დადგება ლიკვიდაციის, გაკოტრების, გადახდისუუნაროდ გამოცხადების მოთხოვნა ან თუ თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას ლიკვიდაციის შესახებ.

7.1.10. მსესხებლის ან თავდების, მათი ქონების, მმართველობის ორგანოებისა და უფლებამოსილ პირთა მიმართ სახელმწიფო ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება ან გამოყენებული იქნება ღონისძიება, რომლებიც არსებითად გაართულებს ან შეუძლებელს გახდის მსესხებლის მიერ საკუთარი ქონების განკარგვას, მისი მმართველობის ორგანოებისა და სხვა უფლებამოსილ პირთა საქმიანობას.

7.1.11. თუ სასამართლოს გადაწყვეტილების, ან სახელმწიფოს ნორმატიული აქტის საფუძველზე, ან სხვა ფორმით მესაკუთრის ნებისაგან დამოუკიდებლად საფრთხე ემუქრება საკუთრების უფლებას უზრუნველყოფის საგანზე.

7.2. ზემოთ აღწერილი ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე:

(ა) ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება მსესხებელისათვის წინასწარ წერილობითი შეტყობინების/გაფრთხილების მიწოდების მეშვეობით და მოსთხოვოს მას კრედიტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გადახდა გამსესხებლის მიერ მითითებულ ვადაში, არაუგვიანეს გამსესხებლის შეტყობინების/გაფრთხილების მიღებიდან 10 კალენდარული დღისა, რაც არ ნიშნავს გამსესხებლისათვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული ან მისი დარღვევით წარმოშობილი უფლებების გაუქმებას და/ან შელახვას;

(ბ) უაქცეპტოდ (თანხმობის გარეშე) გადაიყვანოს მსესხებელი გამკაცრებული მონიტორინგის რეჟიმში, რაც გულისხმობს გამსესხებლის სრულ უფლებამოსილებას, მიავლინოს მისი წარმომადგენელი მსესხებელთან მსესხებლის ფინანსური/ქონებრივი მდგომარეობის შესასწავლად. ასეთ შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს გამსესხებლის წარმომადგენლის დაშვება როგორც მსესხებლის რეგისტრირებულ ასევე ფაქტიურ მისამართებზე.

მუხლი 7[1]. მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები

7[1].1. მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები გათვალისწინებულია მსესხებელთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულების პუნქტებსა და წინამდებარე პუნქტში.

7[1].2. სესხის ხელშეკრულებით მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია იმოქმედოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მსესხებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, რაც მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება გამსესხებლის შემდეგი მოქმედებებით:

7[1].2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ხელშეკრულების შეწყვეტით;

7[1].2.2. საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად საერთო სასამართლოებისთვისა ან/და არბიტრაჟისთვის მიმართვით;

7[1].2.3. მსესხებლის საბანკო ანგარიშებზე და მსესხებლის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავ-მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებით შემდგომში მათი იძულებითი წესით რეალიზაციის მიზნით;

მუხლი 7[2]. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.

7[2].1 მსესხებელი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი)კალენდარული დღის განმავლობაში უარი თქვას სესხის ხელშეკრულებაზე;

7[2].2. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე 7[2].1. პუნქტში მითითებული ვადის დაცვის გათვალისწინებით (ვადის ამოწურვამდე) აცნობოს გამსესხებელს აღნიშნულის თაობაზე მატერიალურად წარდგენილი წერილობითი შეტყობინების ან წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. დისტანციურად დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, მსესხებელი ასევე უფლებამოსილია გამსესხებლის ინფორმირება ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე მოახდინოს ინტერნეტ/მობაილბანკიდან;

7[2].3. თუ მსესხებელს სესხის თანხა გამსესხებლის შეთავაზების საფუძველზე მიღებული აქვს შპს „ფეი უნიქარდი"-ს მიერ ემიტირებული საგადახდო მომსახურების ბარათის საშუალებით, მსესხებელი უფლებამოსილია ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ასევე მოითხოვოს მითითებული საგადახდო ბარათის გაუქმება, გამსესხებლისთვის გაგზავნილ/მიწოდებულ შეტყობინებაში შესაბამისი მოთხოვნის დაფიქსირების გზით, სხვა შემთხვევაში საგადახდო ბარათი მსესხებლის სახელზე რჩება აქტიურ ბარათად რეგისტრირებული;

7^2. 4. მსესხებლის მიერ წინამდებარე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა სრულად და ერთიანად გადაიხადოს/დააბრუნოს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხა, მასზე დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო სარგებელი სესხით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში, და მსესხებლის მიერ სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ან/და გამსესხებლის მიერ მესამე პირისთვის გაწეული/გასაწევი ხარჯები (მათი არსებობის შემთხვევაში);

$7^2$4.1. მსესხებელი ვალდებულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის მიუხედავად უზრუნველყოს სესხის გრაფიკით განსაზღვრული ყოველთვიური გადახდა, თუ მისი ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან, ვალდებულების სრულად და ერთიანად დაფარვამდე მონაკვეთში (იგულისხმება ოცდაათდღიანი ვადა) სესხის დაფარვის გრაფიკი ითვალისწინებს თანხის გადახდას.

7^2.5. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტალად მსესხებლის მიერ 7^2.4. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7^2.6. მსესხებლის მიერ 7^2.4. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არასრული, არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის 7^2.1. პუნქტის დაცვით წარდგენილი შეტყობინება ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე მიიჩნევა ძალადაკარგულად, რა შემთხვევაშიც მსესხებელი ვალდებულია სესხზე მომსახურება განაგრძოს წინამდებარე სესხისა და მასზე თანდართული გრაფიკით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

7^2.7. მსესხებელს არა აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე თუ მის მიერ დარღვეული იქნა წინამდებარე მუხლის 7^2.1 ან/და 7^2.2. განსაზღვრული ვადები და პირობები;

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლის, მოქმედების და ვადამდე შეწყვეტის წესი.

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან, და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

8.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, მოშლა ან გაუქმება დასაშვებია ქვემოთ მითითებული საფუძვლებით:

8.2.1. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

8.2.2. მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც საფრთხეს უქმნის ან საეჭვოს ხდის ამგვარი დამრღვევის მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შემდგომ შესრულებას;

8.2.3. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას

8.2.4. ხელშეკრულებით და/ან შესაბამისი დანართებით და/ან მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით და/ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში:

8.3.1. მსესხებელი ვალდებული არის წინამდებარე ხელშეკრულების მუხლი 7.2-ით განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს ყველა ფინანსური ვალდებულება (ძირითადი თანხის, მასზე დარიცხული პროცენტისა და პირგასამტეხლოს, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახის დავალიანების ჩათვლით) გამსესხებლის წინაშე;

8.3.2. გამსესხებელი გათავისუფლდება ამ ხელშეკრულების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებებისაგან მსესხებლის წინაშე.

მუხლი 9. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი.

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.

9.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სადავო საკითხები განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა შპს ,,საარბიტრაჟო სასამართლო თემიდა“-ს (საინდიფიკაციო კოდი 402302129) (შემდგომში - მუდმივმოქმედი არბიტრაჟი) ან მის სამართალმემკვიდრეს; საქმეს განიხილავს ერთი არბიტრაჟისგან შემდგარი არბიტრაჟი, რომელსაც ნიშნავს არბიტრაჟის თავჯდომარე. მხარეების მიერ არბიტრის აცილების ვადა განისაზღვრება 5 დღით.

9.4. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი დავას განიხილავს საქართველოში (თბილისში). საარბიტრაჟო განხილვა ჩატარდება ქართულ ენაზე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების იმ რედაქციის შესაბამისად, რომელიც იქნება მოქმედი საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის.

9.5. მხარეები ვთანხმდებით, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები გადაწყვიტოს საარბიტრაჟო სასამართლოს თავჯდომარემ.

9.6. მხარეები თანხმდებიან თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 10 000 (ათიათას) ლარს ან მის ექვივალენტს საარბიტრაჟო სარჩელის წარდგების თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის შესაბამისად სხვა ვალუტაში, არბიტრაჟს უფლება აქვს დავა განიხილოს მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად.

9.7. მხარეები თანხმდებიან, რომ კომუნიკაცია მათსა და საარბიტრაჟო დაწესებულებას ან/და მათსა და არბიტრ(ებ)ს შორის წარმოებს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის სასუალებით. მხარეები თანხმდებიან რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ მხარეს ჩაბარდება წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით წინამდებარე ხელშეკრულებით (ან სხვა დოკუმენტით) განსაზღვრულ ელ. ფოსტის მისამართზე. მსესხებელი/თანამსესხებელი (მოგირავნე/მესაკუთრე/თავდები) აცხადებს თანხმობას, რომ არბიტრაჟმა (არბიტრმა) მისი დაბარება, მისთვის უწყების ჩაბარება, მისთვის საარბიტრაჟო საქმის წარმოების დოკუმენტაციების გადაცემა, მისთვის გადაწყვეტილების (განჩინების) / საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ჩაბარება განახორციელოს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებაში (ან სხვა დოკუმენტში) მითითებულ მის პირად ელ. ფოსტის მისამართზე. თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფორმით გაგზავნა უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით.

9.8. ისეთ შემთხვევაში, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის საარბიტრაჟო შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც განთავსდება არბიტრაჟის ვებგვერდზე: www.arbitraji.gweb.ge. საარბიტრაჟო შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

9.9. იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის (პრეტენზიის) წარდგენის მომენტში ზემოხსენებული არბიტრაჟი იქნება ლიკვიდირებული ან მას შეჩერებული/შეწყვეტილი ექნება ფუნქციონირება დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია;

9.10. საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებული საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შორის დავის წარმოშობის დროისათვის არბიტრაჟის მოქმედი დებულების შესაბამისად, ხოლო საერთო სასამართლოების მიერ დავის განხილვის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დადგენილი წესის შესაბამისად;

მუხლი 9[1]. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის წესი

9[1].1. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტში გათვალისწინებულ ერთ-ერთ (საკომუნიკაციო არხის არჩევითობა განისაზღვრება გამსესხებლის შეხედულებით) მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით;

9[1].2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი პირობ(ებ)ის ცვლილებისას, გამსესხებელი თავისუფლდება მომხმარებლის შეტყობინების ვალდებულებისგან, იმ შემთხვევაში თუ ცვლილება ხორციელდება მსესხებლის/თანამსესხებლის სასარგებლოდ

მუხლი 10. შეტყობინების წესი.

10.1. მხარეთა შორის კონტაქტი ხორციელდება ამ ხელშეკრულების 1.1. და 1.2 პუნქტში აღნიშნულ მისამართებზე, ტელეფონებზე და ელექტრონულ ფოსტაზე;

10.2. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის შეტყობინება ან/და სხვა სახის ოფიციალური კომუნიკაცია წარმოებს ამ ხელშეკრულების 1.1. და 1.2 პუნქტში აღნიშნულ მისამართებზე წერილობითი ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

10.3. მხარეები თანხმდებიან, რომ კომუნიკაცია მათსა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს გამარტივებული წარმოებას ან/და მათსა და სასამართლოს ან/და მათსა და საარბიტრაჟო დაწესებულებას ან/და მათსა და არბიტრებს შორის წარმოებს წერილობით ან/და ელ-ფოსტის საშუალებით.

10.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, მათ შორის ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულების შეწყვეტის თუ მხარეს ჩაბარდება წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე ჩაითვლება მხარისათვის ჩაბარებულად.

10.5. მსესხებელი აცხადებს, რომ თანახმაა მიიღოს გამსესხებლის მიერ გამოგზავნილი ყველანაირი შეტყობინება ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე, მათ შორის ელ ფოსტის მისამართზეც;

10.6. მსესხებელი ადასტურებს, რომ ზემოთ აღნიშნული მობილური ტელეფონის ნომერ(ებ)ი ნამდვილად მას ეკუთვნის;

10.7. მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა შეტყობინება, რომელიც გაიგზავნება ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მსესხებლის მისამართზე (მათ შორის ელ ფოსტის მისამართზე), მიუხედავად მისი ჩაბარებისა ან მიღებაზე უარის თქმისა, ჩაითვლება მსესხებლის მიერ მიღებულად;

10.8. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი შეიცვლის ადგილსამყოფელს (მისამართს), იგი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობოს გამსესხებელს;

10.9. ამ ხელშეკრულების 10.8 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუკი მსესხებელი წერილობით აცნობებს გამსესხებელს მის შეცვლილ ადგილსამყოფელს (მისამართს), საკონტაქტო მისამართად ჩაითვლება ახალი მისამართი და მასზე სრულად გავრცელდება ამ მუხლით დადგენილი წესები;

10.10. ამ ხელშეკრულების 10.8 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუკი მსესხებელი წერილობით არ აცნობებს გამსესხებელს მის შეცვლილ ადგილსამყოფელს (მისამართს), საკონტაქტო მისამართად ჩაითვლება ამ ხელშეკრულებაში მითითებული მისამართი და ამ მისამართზე გავრცელდება ამ მუხლით დადგენილი წესები;

10.11. მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 10.8 მუხლით გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დაუშვებელია რაიმე სახის პრეტენზიის დაყენება გამსესხებლის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცალსახად და არაორაზროვნად არ დასტურდება ის გარემოება, რომ გამსესხებლისათვის ცნობილი იყო მსესხებლის ახალი მისამართი.

10.12. მსესხებელი აცხადებს თანხმობას, რომ ნებისმიერმა დავის განმხილველმა ორგანომ მათ შორის, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს გამარტივებული წარმოების მომსახურეობის განმახორციელებელმა ორგანომ, სასამართლომ ან არბიტრაჟმა (არბიტრმა) მისი დაბარება, მისთვის უწყების ჩაბარება, შეტყობინება გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ, მისთვის სასამართლო ან საარბიტრაჟო საქმისწარმოების დოკუმენტაციის გადაცემა, მისთვის გადაწყვეტილების (განჩინების), გადახდის ბრძანების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ჩაბარება განახორციელოს წერილობითი ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე.

10.13. მსესხებელი იღებს ვალდებულებას აღნიშნულ ელ-ფოსტის მისამართზე განთავსებულ კორესპონდენციას გაეცნოს არანაკლებ კვირაში ერთხელ.

<u>მუხლი 11. კონფიდენციალურობა, პერსონალური მონაცემის დამუშავება</u>

<u>11.1. მსესხებელი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ თანხმობას აძლევს გამმსესხებელს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. პერსონალური მონაცემების დამუშავებ ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრინციპების, საფუძვლებითა და წესით.</u>

<u>11.2. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების, მისი გაადვილების, კომპანიის საქმიანობის სპეციფიკის, კომპანიის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნით. მსესხებელი ხელისმოწერით თანხმობას აცხადებს მისი პერსონალური მონაცემების ზემოაღნიშნულ ფარგლებში დამუშავებაზე და მესამე პირებისთვის გადაცემაზე.</u>

<u>11.3. გამსესხებელი უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემების დაცვას, ზემოაღნიშნული გულისხმობს, რომ გამსესხებლის მიერ მიღებული ინფორმაციის გადაცემა დაუშვებელია ნებისმიერი მესამე პირებისათვის, შესაბამისი სასამართლო განჩინების, ამ შეთანხმების ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე.</u>

<u>11.4. მონაცემების შენახვა ხორციელდება სახელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საგადასახადო კოდექსისა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვად(ებ)ის გათვალისწინებით. მონაცემთა სუბიექტს (მსესხებელს) უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიმართოს გამსესხებელს და განახორციელოს მისთვის კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაცია.</u>

<u>11.5. მსესხებელს საქართველოს კანონით პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ აქვს შემდეგი უფლებები: მისი პერსონალური ინფორმაციის მიღების უფლება, მონაცემების გაცნობისა და ასლის მიღების უფლება; მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება; მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება; მონაცემთა დაბლოკვის უფლება; მონაცემთა გატანის უფლება, გასაჩივრების უფლება;</u>

<u>11.6. მსესხებელს კანონის შესაბამისად უფლება აქვს გამსესხებლისთვის წერილობითი შეტყობინების მიმართვის გზით გაიხმოს/გაითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების დადების მიზნით გაცემული თანხმობ(ები)ა.</u>

<u>11.7. კანონმდებლობით გათვალისწინებული დამუშავების სხვა საფუძვლის არ არსებობის შემთხვევაში, მსესხებლის</u>

მხრიდან მის უფლებების რეალიზაციის შემთხვევაში, გამსესხებელი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნის შესრულებას, მათ შორის მსესხებლის მოთხოვნის შესრულებას თანხმობის გახმობის თაობაზე; თანხმობის გახმობა მსესხებელს არ ათავისუფლებს თანხმობის გაცხადებით (მის ფარგლებში) დამდგარი/გამოწვეული საამრთლებრივი შედეგებისაგან.

11.8. მსესხებელი იძლევა თანხმობას, მისი მონაცემების დამუშავების პროცესში გამსესხებელმა გამოიყენოს, როგორც ადამიანური ჩართულობით, ასევე ავტომატიზებული ფორმით დამუშავების მეთოდები.

11.9. მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულების კონფიდენციალურობის პირობები. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება: (I) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად; (II) ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (III) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

11.10. მიუხედავად 11.9. პუნქტში მითითებული შეზღუდვისა მსესხებელი თანახმაა და გამსესხებელს ანიჭებს უპირობო უფლებას, მსესხებლის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

11.10.1. გამსესხებლის კანონიერი ინტერესის დაცვის, მომსახურების გაწევის, მის მიმართ არსებული ვალდებულებების აღრიცხვის და შესრულების უზრუნველყოფის მიზნებისთვის დაამუშავოს მსესხებლის მონაცემები (შეგროვება, შენახვა, შეყვანა, დარეგისტრირება, გადაცემა და სხვა), კერძოდ: სახელი; გვარი; პირადობის მოწმობის ნომერი; პირადი ნომერი; დაბადების თარიღი; მისამართები(რეგისტრირებული, ფაქტიური); ელექტრონული ფოსტის მისამართი; ტელეფონის ნომერი; საკონტაქტო ინფორმაცია; სამუშაო ადგილი; პოზიცია; ანაზღაურება; საბანკო ანგარიშის ნომერი; საკრედიტო ისტორია; სასესხო განაცხადები და სხვა ნებისმიერი კატეგორიის პერსონალური მონაცემი(შემდგომში "მონაცემი"), რომელიც მსესხებელმა გამსესხებელს მიაწოდა სასესხო განაცხადის შევსებით, სატელეფონო საუბრით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ნებისმიერი ფორმით ან სხვა ფორმით გახდა ცნობილი გამსესხებლისთვის. ამასთან მსესხებლისგან გამსესხებლისთვის ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფორმით ინფორმაციის მიწოდება განიხილება როგორც მსესხებლის თანხმობა გამსესხებლის მიერ ამ მონაცემების დამუშავების თაობაზე.

11.10.2. მსესხებელი უფლებას აძლევს გამსესხებელს სადებეტო ბარათებით შეუფერხებელი მომსახურების გაწევის მიზნით განახორციელოს მსესხებლის შესახებ არსებული მონაცემების გაცვლა/გადაცემა მესამე პირთათვის.

11.10.3. გამსესხებლის მიერ მსესხებლის პერსონალური მონაცემების დამუშავება ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრული მიზნების გარდა დამატებით განხორციელდეს შემდეგი მიზნებით:

11.10.3.1. მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;

11.10.3.2. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის აუდიტორული კომპანიების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

11.10.3.3. გამსესხებლის მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც გამსესხებელი ახორციელებს მსესხებლის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

11.10.3.4. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის გამოსავლენად ან/და პრევენციისთვის;

11.11. მსესხებელი აცხადებს და ადასტურებს, რომ გამსესხებელი უფლებამოსილია პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დაამუშავოს კლიენტის პერსონალური მონაცემ(ებ)ი (მათ შორის, მაიდენტიფიცირებელი, ფინანსური, საკონტაქტო და სხვა) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის"(განთავსებული: https://scapp.ge/) და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. ამავდროულად, მსესხებელს უფლება აქვს მოითხოვოს შეთავაზებ(ებ)ის მიღების შეწყვეტა იმავე ფორმით/არხით, რომლითაც იღებს შეთავაზებას/ებს. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული თანხმობა მოქმედებს უვადოდ (მის გამოხმობამდე), ხოლო თანხმობის გახმობის შემთხვევაში, მსესხებელი ვეღარ მიიღებს მასზე მორგებულ შეთავაზებას/ებს მომსახურების და/ან პროდუქტ(ებ)ით სარგებლობასთან დაკავშირებით. მსესხებლის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის გახმობის შემთხვევაში, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემების დამუშავება შეწყდება გონივრულ ვადაში, თუმცა არაუგვიანეს მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა."

11.12. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპს ყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელსაც მსესხებელს შეუძლია მიმართოს განცხადებით, მისი პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული უფლებების რეალიზების მიზნით, კერძოდ მისთვის მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მის მეილზე წერილობით, ოფიცერი შემსრულებლის მოთხოვნაზე, მიმართვიდან 10 (კალენდარული) დღის განმავლობაში გასცემს პასუხს.

მუხლი 11[1]. ინფორმაციის მიწოდება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის

11[1].1. სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ“ (იურდიული მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, გამზირი აკაკი წერეთელი, #118, I პავილიონი; ს/კ 205274273) შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

11[1].2. მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1. არც ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა ან შეუსრულებლობა არ გამოიწვევს ამ მხარის წინააღმდეგ მოთხოვნის წარმოშობას ან არ განიხილება ხელშეკრულების დარღვევად, თუ ეს დარღვევა ან შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებით, რომლის წინასწარ განჭვრეტა ან თავიდან აცილება მოცემულ მხარეს არ შეეძლო მიზანშეწონილი ზომების მიღებით;

12.2. ფორსმაჟორული გარემოებები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) წყალდიდობას, ხანძარს, მიწისძვრას და სხვა სტიქიურ უბედურებას, აგრეთვე ომს, სამხედრო მოქმედებას, გაფიცვას, აჯანყებას, სამთავრობო ან სხვა მსგავს მოქმედებებს;

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, აგრეთვე წარუდგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა აღნიშნული ფორსმაჟორული გარემოების დადასტურების შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ფორსმაჟორული გარემოება საყოველთაოდაა ცნობილი) . ასეთ შემთხვევაში, მხარეს, რომელიც აცხადებს ფორსმაჟორული გარემოების დადგომას, დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) მოქმედების ვადით გაუგრძელდება ვადა იმ ვალდებულებების შესრულებისათვის, რომელსაც ხელი შეუშალა და შეაფერხა ფორსმაჟორულმა გარემოებამ და იგი არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან, რომელსაც ხელს არ უშლის ფორსმაჟორული გარემოება

12.4. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდება, მსესხებელი ან გამსესხებელი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, ასეთ შემთხვევაში, გამსესხებელს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების შეწყვეტიდან სამი დღისა, დაუბრუნდება გაცემული კრედიტი მასზე დარიცხულ და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მისაღებ სარგებელთან ერთად.

13. პრეტენზიების წარდგენის წესი

13.1. მსესხებელი უფლებამოსილია გამსესხებელს წაუყენოს წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან/დანართებიდან გამომდინარე პრეტენზია წერილობით, ან გამსესხებლის ვებ გვერდზე www.scapp.ge მომხმარებელთა პრეტენზიების მოდულში შესაბამისი შეტყობინების დაფიქსირებით ან ზეპირად.

13.2. გამსესხებელი ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში განიხილოს მსესხებლის მიერ წარმოდგენილი პრეტენზია და შეატყობინოს შესაბამისი გადაწყვეტილება მსესხებელს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტით განსაზღვრულ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით ან/და საკონტაქტო ტელეფონზე ინფორმაციის ზეპირი ფორმით მიწოდების გზით. შესაძლებელია მსესხებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში პასუხი პრეტენზიაზე ჩაბარდეს მატერიალური ფორმით;

13.3. მსესხებლის მიერ წაყენებული პრეტენზიების მიღება, დამუშავება და შედეგების შესაბამისი ადრესატებისათვის გაცნობა ხორციელდება, გამსესხებლის მიერ წარდგენილი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ოფიცრის მიერ.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებას ან/და დამატებას ძალა აქვს იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

14.2. ხელშეკრულების მუხლებს აქვთ სათაურები ხელშეკრულების ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ეს სათაურები მხედველობაში არ მიიღებიან ხელშეკრულების რაიმე დებულების განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტავად;

14.3. რომელიმე მხარის მხრიდან ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლებების ამგვარი გამოუყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას მეორე (არა დამრღვევი) მხარის უფლებაზე ხელშეკრულების შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით;

14.4. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება გამსესხებელს მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად კრებითია და დაემატება ამ ხელშეკრულებით ან კანონით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

14.5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეს წარმოადგენს ერთზე მეტი მსესხებელი:

14.5.1 თითოეული ასეთი მსესხებელი წარმოადგენს გამსესხებლის მიმართ სოლიდარულ მოვალეს ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე ვალდებულებებზე;

14.5.2 თითოეული მსესხებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა ვრცელდება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული და მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან მიმართებაშიც, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ეს მსესხებელი ამგვარი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეს;

14.5.3. თითოეული მსესხებლის სოლიდარული პასუხისმგებლობა ძალაშია მიუხედავად მათ მიერ ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამსესხებლის სასარგებლოდ რაიმე ფორმით გაცემული დამატებითი ვალდებულების (მათ შორის, თავდებობის ან/და გარანტიის) არსებობა/არარსებობისა;

14.5.4. ერთ-ერთ მსესხებელთან დაკავშირებული ფაქტები გამოიყენება სხვა მსესხებლების მიმართაც, იმის გათვალისწინებით, რომ გამსესხებლის მიერ რომელიმე მსესხებლის მიმართ თავისი უფლებების გამოუყენებლობა (სრულად ან ნაწილობრივ) არ გავრცელდება სხვა მსესხებლებზე და არ ათავისუფლებს მათ შესაბამისი ვალდებულებებისაგან;

14.5.5. ერთ-ერთი მსესხებლის მიერ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, გამსესხებელი უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ მსესხებელს და მის მიმართ ისარგებლოს ამ ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით.

14.6. წინამდებარე ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება მხარეთა შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე. გამსესხებლის წერილობითი შეთანხმების გარეშე მსესხებელს უფლება არა აქვს სხვას გადასცეს ან გადააბაროს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება.

14.7. მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია გამსესხებლის იურდიული მისამართი.

14.8. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითა უფრო ადვილად მიიღწევა ამ ხელშეკრულებით (და მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

14.9. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

14.10. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ დამატებით შეთანხმებებსა და სხვა ხელშეკრულებებს (მათ შორის უზრუნველყოფის ხელშეკრულებას) მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც არის დადებული ამგვარი შეთანხმება.

14.11. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ურთიერთობანი მხარეთა შორის რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

14.12. ხელშეკრულება დადებულია სათანადო წესით, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და წარმოადგენს ნამდვილ, მხარეთა მავალდებულებელ ხელშეკრულებას, რომლიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება დაუბრკოლებლივ შეიძლება იქნას მოთხოვნილი მხარეების მიერ;

14.13. მხარეები ხელშეკრულების ხელმოწერით ადასტურებენ, რომ სრულად ესმით ხელშეკრულების დებულებათა შინაარსი და ეთანხმებიან მათ.

14.14. თუ წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერა შესრულებულია ელექტრონული ხელმოწერით (მათ შორის პლატფორმა Signify-ის მეშვეობით), ასეთ შემთხვევაში მსესხებელი აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ მსესხებლის (მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის) მიერ წინამდებარე დოკუმენტზე შესრულებულ ელექტრონულ ხელმოწერას გააჩნია წერილობითი/მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის თანაბარი

<u>იურიდიული ძალა.</u>

მუხლი 15. ინფორმაციის გაცემა თავდებობის/სოლიდარული პასუხისმგებლობის მონაწილე მხარისათვის;

15.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელი ინფორმირებულია და უპირობო თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული თავდებობის/სოლიდარული პასუხისმგებლობის მონაწილე მხარის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია ხელმისაწვდომი გახადოს თავდებისთვის/სოლიდარული პასუხისმგებლობის მონაწილე მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების ასლები, ასევე მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს ინფორმაცია მსესხებლის მიმდინარე დავალიანების შესახებ, რაც არ საჭიროებს მსესხებლის დამატებით წერილობით ინფორმირებას. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ“არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა

მხარეთა ხელმოწერები

გამსესხებლის სახელით: **სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სკაპ“**	**მსესხებელი**